

საწარმოს დამოუკიდებლად მოქმედი ქვედანაყოფის მიწოდება N 11123

ფაქტობრივი გარემოებები

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულმა საწარმომ, რომელიც ახორციელებს სხვადასხვა საქმიანობას (გააჩნია ორი საკუთარი შენობა და ამ შენობებში ცალ-ცალკე განლაგებული, ფუნქციონირებადი ლიმონათის ჩამოსასხმელი ხაზი და საკონდიტრო საამქრო), სხვა დღგ-ის გადამხდელ პირს ერთი სამეურნეო ოპერაციის ფარგლებში მიანოდა ფუნქციონირებადი ბიზნესი, კერძოდ, ერთი შენობა და ამ შენობაში განთავსებული ლიმონათის ჩამოსასხმელი ხაზი.

ამასთან, მიწოდებამდე:

ვარიანტი I

რეალიზებული შენობის კედლის გარკვეული ფართი იჯარით ჰქონდა გაცემული სარეკლამო ბანერების განსათავსებლად.

ვარიანტი II

რეალიზებული შენობის გარკვეული ფართი იჯარით ჰქონდა გაცემული სხვა პირისთვის, რომლის მიერ ამ ფართში ლიმონათის ჩამოსასხმელი ხაზისგან დამოუკიდებლად, ფუნქციონირებდა ვალუტის გადამცვლელი პუნქტი.

ორივე ვარიანტში

აღნიშნული იჯარა გაგრძელდა კანონმდებლობის შესაბამისად.

ორივე ვარიანტში

საწარმომ აღნიშნული მიწოდება მიიჩნია სსკ-ის 168(4.მ)-ე მუხლით ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან გათავისუფლებულ სამეურნეო ოპერაციად და არ დაბეგრა დღგ-ით

შეფასება

სსკ-ის 168(4.მ)-ე მუხლის მიხედვით:

- ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან გათავისუფლებულია დღგ-ის გადამხდელის (მათ შორის, ინდივიდუალური მენარმის) მიერ საწარმოს ან ამ საწარმოს დამოუკიდებლად მოქმედი ქვედანაყოფის ყველა აქტივის მიწოდება ერთი ოპერაციის ფარგლებში დღგ-ის მეორე გადამხდელისათვის,

-დამოუკიდებლად მოქმედ ქვედანაყოფად ითვლება ერთმანეთთან ფუნქციურად დაკავშირებული ძირითადი საშუალებებისა და თანხმობები კომუნიკაციების ერთობლიობა, რომელიც დამოუკიდებლად ფუნქციონირებს (გარდა იჯარით, ქირით და სხვა ამგვარი ფორმით გაცემული შენობა-ნაგებობისა) და რომლის დამოუკიდებლად ფუნქციონირება და საქმიანობის სახე არ არის დამოკიდებული მესაკუთრის შეცვლაზე

იმის გათვალისწინებით, რომ გარიგების ფარგლებში გადაცემული ლიმონათის ჩამოსასხმელი ხაზი გადაცემის მომენტისათვის დამოუკიდებლად ფუნქციონირებდა და მისი საქმიანობა დამოუკიდებელია საწარმოს სხვა საქმიანობისგან და შესაბამისად მესაკუთრის შეცვლა არ ცვლის მისი საქმიანობის სახეს, მხოლოდ ის ფაქტი, რომ რეალიზებული საწარმოს დამოუკიდებლად მოქმედი ქვედანაყოფის შენობის გარკვეული ფართი (ორივე ვარიანტში) იჯარით ჰქონდა გაცემული, განსახილველ შემთხვევებში, არაარსებითია და ვერ იქონიებს გავლენას ოპერაციის შეფასებაზე. შესაბამისად, პირს არ უკარგავს სსკ-ის 168(4.მ)-ე მუხლით დადგენილი შეღავათით სარგებლობის საშუალებას.

ღონისძიებები

პირის ქმედება მართლზომიერია და დამატებული ღირებულების გადასახადის ნაწილში დამატებითი საგადასახადო ვალდებულება არ დაეკისრება.

- იველისხმება რომ გარიგებაში მონაწილე მხარეებმა მიწოდებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში წერილობით შეატყობინეს საგადასახადო ორგანოს მიწოდების შესახებ.
- სიტუაციური სახელმძღვანელო ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც არ არსებობს სსკ-ის 73-ე მუხლით გათვალისწინებული ოპერაციისათვის კვალიფიკაციის შეცვლის საფუძველი.
- სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2019 წლის 15 მაისისთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით და ვრცელდება წინა პერიოდებზეც.

ანოტაცია

საწარმოს დამოუკიდებლად მოქმედი ქვედანაყოფის მიწოდება № 11123 სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს საწარმოს დამოუკიდებლად მოქმედი ქვედანაყოფის მიწოდების დღგ-ისაგან განთავისუფლების საკითხს.

წარმოდგენილი სიტუაციური სახელმძღვანელოს მიხედვით, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულმა საწარმომ, რომელიც ახორციელებს სხვადასხვა საქმიანობას (გააჩნია ორი საკუთარი შენობა და ამ შენობებში ცალ-ცალკე განლაგებული, ფუნქციონირებადი ლიმონათის ჩამოსასხმელი ხაზი და საკონდიტრო საამქრო), სხვა დღგ-ის გადამხდელ პირს ერთი სამეურნეო ოპერაციის ფარგლებში მიაწოდა ერთი შენობა და ამ შენობაში განთავსებული ლიმონათის ჩამოსასხმელი ხაზი (საწარმოს დამოუკიდებლად მოქმედი ქვედანაყოფი). ამასთან, პირველი ვარიანტის მიხედვით, მიწოდებამდე რეალიზებული შენობის კედლის გარკვეული ფართი იჯარით ჰქონდა გაცემული სარეკლამო ბანერების განსათავსებლად. ხოლო მეორე ვარიანტის მიხედვით, რეალიზებული შენობის გარკვეული ფართი იჯარით ჰქონდა გაცემული სხვა პირისთვის, რომლის მიერ ამ ფართში ლიმონათის ჩამოსასხმელი ხაზისგან დამოუკიდებლად, ფუნქციონირებდა ვალუტის გადამცვლელი პუნქტი.

შენობის რეალიზაციისას აღნიშნული იჯარა გაგრძელდა კანონმდებლობის შესაბამისად.

საწარმომ აღნიშნული მიწოდება მიიჩნია 168 (4.მ)-ე მუხლით ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან გათავისუფლებულ სამეურნეო ოპერაციად და არ დაბეგრა დღგ-ით.

სსკ-ის 168 (4.მ)-ე მუხლის მიხედვით: ჩათვლის უფლებით დღგ-ისგან გათავისუფლებულია დღგ-ის გადამხდელის (მათ შორის, ინდივიდუალური მენარმის) მიერ საწარმოს ან ამ საწარმოს დამოუკიდებლად მოქმედი ქვედანაყოფის ყველა აქტივის მიწოდება ერთი ოპერაციის ფარგლებში დღგ-ის მეორე გადამხდელისათვის. დამოუკიდებლად მოქმედ ქვედანაყოფად ითვლება ერთმანეთთან ფუნქციურად დაკავშირებული ძირითადი საშუალებებისა და თანხმლები კომუნიკაციების ერთობლიობა, რომელიც დამოუკიდებლად ფუნქციონირებს (გარდა იჯარით, ქირით და სხვა ამგვარი ფორმით გაცემული შენობა-ნაგებობისა) და რომლის დამოუკიდებლად ფუნქციონირება და საქმიანობის სახე არ არის დამოკიდებული მესაკუთრის შეცვლაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ გარიგების ფარგლებში გადაცემული ლიმონათის ჩამოსასხმელი ხაზი გადაცემის მომენტისათვის დამოუკიდებლად ფუნქციონირებდა და მისი საქმიანობა დამოუკიდებელია საწარმოს სხვა საქმიანობისგან და შესაბამისად მესაკუთრის შეცვლა არ ცვლის მისი საქმიანობის სახეს, მხოლოდ ის ფაქტი, რომ რეალიზებული საწარმოს დამოუკიდებლად მოქმედი ქვედანაყოფის შენობის გარკვეული ფართი (ორივე ვარიანტში) იჯარით ჰქონდა გაცემული, განსახილველ შემთხვევებში, არაარსებითია და ვერ იქონიებს გავლენას ოპერაციის შეფასებაზე. შესაბამისად, პირს არ უკარგავს სსკ-ის 168(4.მ)-ე მუხლით დადგენილი შეღავათით სარგებლობის საშუალებას.

პირის ქმედება მართლზომიერია და დამატებული ღირებულების გადასახადის ნაწილში დამატებითი საგადასახადო ვალდებულება არ დაეკისრება.

შენიშვნა: იგულისხმება რომ გარიგებაში მონაწილე მხარეებმა მიწოდებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში წერილობით შეატყობინეს საგადასახადო ორგანოს მიწოდების შესახებ. სიტუაციური სახელმძღვანელო ეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც არ არსებობს სსკ-ის 73-ე მუხლით გათვალისწინებული ოპერაციისათვის კვალიფიკაციის შეცვლის საფუძველი.